ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2427504

ნომერი: AR1375677

თარიღი : 04.02.2016

გაცემის თარიღი : 11.02.2016

გაცნობის თარიღი : 11.02.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის II მ/რ, N3ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზი შაკიაშვილი პ/ნ 13001002399
- თბილისი ვარკეთილი 3 IV მ/რ კორ. 421 ბ. 27

ორგანიზაცია:

- შპს `პანეტერია` კოდი: 204937257

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის

05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1375677 განცხადება, რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
იმისათვის, რომ არქიტექტურის სამსახურმა სრულყოფილად იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა წარმოდგინოთ ავტომობილების მოძრაობის სქემა, ბოქსების ჩვენებითა და ფართობის მითითებით.
აქვე გაცნობებთ, რომ ავტოსამრეცხაოს გათავსებისას გასათვალისწინებელია 2001 წლის 24 იანვარის #01.14.11 დადგენილებაში დაფიქსირებული მოთხოვნების დაცვა (იხ. დანართი), კერძოდ: ავტოსამრეცხაოების ღია სექციების მომსახურება განხორციელდეს მიწის ნაკვეთის შიდა ეზოს მხრიდან, ცენტრალური ქუჩიდან ჩაუხედაობის პრინციპის დაცვით.

გაურკვევლობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს ტელ. #2 37 83 46.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.